პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-17 წელი.

№ 5 (1641) ○ სამშაბათი, 10 იანვარი, 1961 წ. ○ ფასი 3 კაპ.





## [illegible]

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით მოსკოვში გაიხსნა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ამ ინტერნაციონალურ სასწავლებელში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდები ნაყოფიერ სწავლასთან ერთად სპორტულ საქმიანობას ეწევიან.

ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა და რეგულარულად მუშაობს სპორტის ყველა სახეობის სექცია, რომლებშიც ასობით სტუდენტია ჩაბმული. ისინი მაღალკვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას.

ჩვენი მოსკოველი ფოტოკორესპონდენტის ვ. ტუტოვის მიერ გამოგზავნილ ფოტოსურათებში, რომლებსაც თქვენ ხედავთ, აღბეჭდილია ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება. ინდოელი, მაროკოელი, მალელი და სხვა ქვეყნების ახალგაზრდებმა პირველად ნახეს თოვლი. ისინი სახემხიარულნი ვარჯიშობენ რბენაში, რადგან გადაწყვეტილი აქვთ დაოსტატდნენ მძლეოსნობაში.

— ჩვენ ამ სპორტულ ინვენტარს პირველად ვხედავთ, — ეუბნებიან სათხილამურო სექციის მწვრთნელს ნ. სიდიაკოვს (მარცხნიდან მეორე) განელი სტუდენტები ფრანკ ბუსუმტვი და ყოზეფ აქუ. ჩილელ თეობალდო მერკერს (შუაში) და კუბელ რეიტელ პიმენეს ძალზე აინტერესებთ ძალოსნობა, აშკარაა, რომ ისინი გულისყურით უსმენენ მწვრთნელის ი. რიჟონკინის ახსნა-განმარტებას. ბევრს ცდილობს ირანელი ისმაილ ალ-პარირი (მარჯვნივ) ბურთი წაართვას განელ ნაი ჯორჯს, მაგრამ ამაოდ. ნაი ოსტატურად იცავს თავს ირანელისაგან. ცოტაც და იგი ფარისაკენ გაიჭრება და ბურთი კალათის ბადეში გაეხვევა.

მხატვრული ტანვარჯიშის სექცია თითქმის ყველაზე ხალხმრავალია უნივერსიტეტში. გოგონები დიდი ინტერესით ეუფლებიან სპორტის ამ ლამაზ სახეობას.





## „დინამო" საფრანგეთში

თბილისის „დინამოს" კალათბურთელებმა პირველი მატჩი საფრანგეთის მიწაზე ლიონში ჩაატარეს. დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდა ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი „ვილერბანი". როგორც ცნობილია, ეს მატჩი მოიგეს თბილისელმა კალათბურთელებმა 79:52 (44:34).

ლიონის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველი კალათბურთელების თამაშს. გაზეთ „ლიონის" კორესპონდენტი პირველი თამაშის შემდეგ წერდა: „საბჭოთა სპორტსმენებმა გვიჩვენეს შესანიშნავი თამაში, რაც მთავარია, ჩვენთვის ახალი კალათბურთი. ბევრი გუნდი გვინახავს, მაგრამ ასეთი სწრაფი და მახვილგონივრული ანსამბლი არასდროს შეგვხვედრია. დინამოელები რაკეტული სისწრაფით მოძრაობენ და ამ თავბრუდამხვევი შეტევების დროს ქმნიან ლამაზ და აზრიან კომბინაციებს.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ „ვილერბანის" მწვრთნელმა გულწრფელად მიულოცა გამარჯვება ჩვენს გუნდს და განაცხადა: „მართალი უნდა გითხრათ პირველ ნახევარში საკმაოდ ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გუნდი აგებდა ტაიმს 10 ქულის განსხვავებით, იმედი მქონდა, რომ შესვენების შემდეგ შევძლებდით თამაშის გარდატეხას. მაგრამ მეორე ნახევარში „დინამომ" დაგვიმტკიცა, რომ იგი ნამდვილად საუკეთესო, ევროპული მასშტაბის გუნდია".

## ათი უძლიერესი ჩოგბურთელი

გასულ წელს ჩოგბურთში გამართულ მთელ რიგ შეჯიბრებებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ფედერაციამ შეადგინა ათი უძლიერესის სია.

ქალთა შორის უძლიერესთა ათეულს სათავეში უდგას ვ. კუზმენკო (კიევის „დინამო"), რომელმაც გასულ წელს საკავშირო პირველობაზე მოიპოვა სამი ოქროს მედალი. მეორე ადგილზეა ა. დმიტრიევა (მოსკოვის „დინამო"), შემდეგ მოდიან ლ. პრეობრაჟენსკაია (ცსკა), ი. რიაზანოვა („ბურევესტნიკი", თბილისი), ე. ლარინა (ცსკა), ვ. დაუგისლე („დაუგავა", რიგა), გ. ბაკშეევა („დინამო", კიევი), რ. აბჟანდაძე („დინამო" თბილისი), ვ. ტროშკინა („სპარტაკი" დონის როსტოვი).

ვაჟთა შორის ათეულში მოხვდნენ მ. მოზერი („დინამო", კიევი), ა. პოტანინი („ბურ.", ლენინგრადი), ს. ლიხაჩევი („ნეფტიანიკი", ბაქო), ტ. ლეიუსი („დინამო", ტალინი), ს. ანდრეევი, („სპარტაკი", მოსკოვი), ვ. ანისიმოვი („სპარტაკი", როსტოვი), რ. სივოხინი („დინამო", როსტოვი), ბ. კოლობოვი, ს. მირზა (ორივე ცსკა) და ვ. ეგოროვი („დინამო", მოსკოვი).



## უნდა შეივსოს წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე 1961 წელს მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დგას —გაშალოს ფიზკულტურული მოძრაობის ყველა დარგში ენერგიული მზადება საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის. ეს დიდი, საერთაშორისო მნიშვნელობის კომპლექსური ღონისძიება შეაჯამებს მთელ ჩვენს მუშაობას, შეაფასებს მწვრთნელების, სპორტსმენების მუშაობას სპორტის ცალკეულ სახეობებში. საბჭოთა ხალხი, სახელოვანი კომუნისტური პარტია თვალნათლივ დაინახავენ როგორ ვპასუხობთ იმ უანგარო ზრუნვას, რომელსაც ისინი უწევენ ფიზკულტურულ - სპორტულ ორგანიზაციებს.

სპარტაკიადა მარტო დასკვნით შეჯიბრებას კი არ გულისხმობს, არამედ მას აქვს ეტაპები. რომლებშიც მონაწილეობს ძირითადი მასა, საიდანაც გამოდიან ის მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებმაც გვასახელეს და კიდევაც გვასახელებენ როგორც საბჭოთა, ისე საერთაშორისო სარბიელზე. იმისათვის, რომ სპარტაკიადა და განსაკუთრებით მისი საწყისი ეტაპები წარმატებით ჩავატაროთ საჭირო იქნება გავაძლიეროთ ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდა.

პროპაგანდაზე როცა ვლაპარაკობთ ამჟამად მხედველობაში გვაქვს ლიტერატურა. საინტერესოა გადავხედოთ რა გვაქვს ამ დარგში გაკეთებული, როგორ ვეხმარებით საზოგადოებრივ კადრებს, მწვრთნელებს, სპორტსმენებს, რა იდეური და თეორიული საზრდო მივაწოდოთ მათ, საილუსტრაციოდ გადავხედოთ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" 1961 წლის გეგმას. 30 თაბახი! აი მთელი ქაღალდის მარაგი, რომელიც გამოყოფილია სპორტული ლიტერატურის გამოსაცემად. საბჭოთა სპორტის წვრთნის მეთოდიკა ყოველდღიურად წინ მიდის, იცვლება. როგორ გავაცნოთ ჩვენს მწვრთნელებს ეს სიახლენი თუ არ გვექნა სათანადო ლიტერატურა?

აი, ახლა რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ზამთრის სპორტის დასანერგავად, სექციები უკვე ჩამოყალიბდა და ამ თვეში ჩატარდება პირველი შეჯიბრება ჰოკეიში, ციგურაობასა და ფიგურულ სრიალში. როდესაც ზამთრის სახეობათა განვითარების შესახებ მიღებულ იქნა დადგენილება, იქ განსაკუთრებით აღინიშნა სათანადო ლიტერატურის გამოცემის აუცილებლობა მშობლიურ ენაზე. მაგრამ ამ მხრივ ერთი ნაბიჯიც კი არ არის გადადგმული, ხოლო ჰოკეის, ციგურაობის ტერმინებისათვის ქართული შესატყვისის გამოძებნაზე არავის უფიქრია.

ჩვენი გამომცემლობები რაც შეუძლიათ გვეხმარებიან (მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის), მაგრამ თუ ისინი ჩვენს საჭიროებას გაითვალისწინებენ, ეს დახმარება უფრო დიდ ნაყოფს გამოისხამს. ნარკვევები მოწინავე სპორტსმენებზე და მხატვრული სპორტული ლიტერატურის თარგმნა კარგი საქმეა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება მეთოდური ლიტერატურა. სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, ზოგიერთი სპორტის სახეობა რესპუბლიკაში 25-30 წელია კულტივირებს და შეჯიბრების ჩატარების წესებიც კი არ გამოცემულა.

ფიზკულტურა და სპორტი სახელმწიფოებრივი საქმეა. იგი ერის ფიზიკური სიჯანსაღეა, ამიტომ ყველა უნდა დაეხმაროს მას ამ კეთილშობილურ საქმეში. უნდა შეივსოს წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით.



# ავსეთ თქვენი წიგნის თაროები სპორტული ლიტერატურით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ნაკადული" მოუწოდებს

„ნაკადული" ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობაა. სპორტი კი განა ვისმე უფრო უყვარს, ვიდრე ნორჩ თაობასა და ახალგაზრდობას?!

ადრე სპორტულ ლიტერატურას ჩვენ არ ვუშვებდით. გასულ წელს სხვადასხვა სახის მხატვრული ლიტერატურის გამოცემასთან ერთად გადავწყვიტეთ რაც შეიძლება მეტი კარგი წიგნი მივაწოდოთ სპორტის მოყვარულებს.

**1960** წელს გამოვეცით სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის და სპორტული ჟურნალისტის ბ. ქორქიას წიგნი „ბრძოლა ოქროს ქალღმერთისათვის". ვისაც ფეხბურთი უყვარს, ამ წიგნს უთუოდ წაიკითხავდა! შევქმენით ბიბლიოთეკა „გულშემატკივარის თანამგზავრი". უკვე გამოვიდა ამ სერიის ორი ბროშურა „ჩვენი დინამოელები" და „ჭადრაკის დაფასთან". ამავე სერიიდან გამოვა წიგნები ქართველ კალათბურთელებზე, მოჭიდავეებზე და სხვ. გამოვიდა გ. მახარაძის წიგნი „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები". უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების ქართველ მონაწილეებს მიეძღვნება გ. აკოფოვის „იტალიური დღიური". განზრახული გვაქვს გამოვცეთ აგრეთვე სპორტის ოსტატ შ. იამანიძისა და ახალგაზრდა მწერალ გ. ფანჯიკიძის ნარკვევი ფეხბურთზე. ვფიქრობ, ჩვენი ტურისტებისათვის არც ის იქნება უინტერესო გაიგოს, რომ შევქმენით „მოგზაურობის მოყვარულთა ბიბლიოთეკა".

მაგრამ ეს მაინც ცოტაა. ჩვენ შეგვიძლია და მხურვალე სურვილიცა გვაქვს უფრო გავამდიდროთ ჩვენი სპორტული ბიბლიოთეკა. ამაში კი გვჭირდება რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის დარგის მოღვაწეთა საქმიანი დახმარება. გამომცემლობა „ნაკადულის" კარები მუდამ ღია იქნება მათთვის. სულითა და გულით ვიწვევთ ვეტერანებს, რომელთაც თავის დროზე ქართული სპორტის სახელი გასტყორცნეს, გააჯირითეს. სულითა და გულით ვიწვევთ ახალგაზრდა ოსტატებს, რომლებიც ამჟამად იცავენ ქართული სპორტის სახელსა და ღირსებას. ძვირფასო მეგობრებო, დაგვიწერეთ მოგონებები, დაგვიწერეთ წიგნები, სადაც ნაჩვენები იქნება ჩვენი სპორტის განვლილი გზაცა და დღევანდელი დღეც!

ამავე დროს „ლელოს" მკითხველებს ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი აზრები, სურვილები, წინადადებანი იმის შესახებ, თუ რას უფრო მივაქციოთ ყურადღება, რა გამოვცეთ პირველ რიგში, როგორი ტირაჟით და სხვ. ყოველ საქმიან წინადადებას ჩვენ მადლობის გრძნობით მივიღებთ.

ასე, რომ სპორტი და „ნაკადული" ამ ახალი, **1961** წლიდან კიდევ უფრო უნდა დამეგობრდნენ.

**ხუტა ბერულავა,**

საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი.

## „ალპინისტის ჩანაწერები"

საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ" რუსულ ენაზე გამოსცა ი. ლუკაშვილის წიგნი „ალპინისტის ჩანაწერები", რომელიც წარმოადგენს 1956 წელს ქართულ ენაზე გამოსული მოგონებების ავტორისეულ თარგმანს.

ი. ლუკაშვილი ერთ-ერთი უძველესი საბჭოთა მთამსვლელია, რომელსაც შემოვლილი აქვს შვეიცარული ალპები და ცენტრალური კავკასიონი.

„ალპინისტის ჩანაწერებიც" სწორედ ი. ლუკაშვილის მიერ ჩატარებულ ლაშქრობებთან და სხვა ალპინისტურ სამუშაოებთან დაკავშირებულ მოგონებებს წარმოადგენს.




## 1961 წლის გეგმით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ამ უკანასკნელ წლებში გამოცემულმა სპორტულმა ლიტერატურამ პრესის, რადიოს, სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულთა კარგი შეფასება და მოწონება დაიმსახურა. ამ ორი უკანასკნელ წელიწადში გამოცემული ორიგინალური ხასიათის წიგნებიდან უნდა დავასახელოთ დოც. მ. გორგაძის ნაშრომი „ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან", რომლის გამოცემაც მიეძღვნა ქართველი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების **40** წლისთავს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ კრებული ალპინიზმის საკითხებზე „კავკასიონზე" (შემდგენელი დ. ფურცელაძე, რედაქტორი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი), აგრეთვე მხატვრულად კარგად გაფორმებული წიგნი „ოლიმპიურ სარბიელზე". თარგმნილი ლიტერატურიდან აღსანიშნავია „ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია" (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა), ე. ჟურავლიოვასა და ს. იანანისის ბროშურები „ყოველდღიური ტანვარჯიში ქალებისათვის" და „ყოველდღიური ტანვარჯიში მამაკაცებისათვის". საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისა და პოპულარიზაციის საქმეს მიეძღვნა პლაკატი „დავნერგოთ ტანვარჯიში წარმოება დაწესებულებათა სამუშაო დღის რეჟიმში".

მიმდინარე, **1961** წლის საგამომცემლო გეგმა ითვალისწინებს როგორც ორიგინალური, ასევე თარგმნილი ხასიათის ლიტერატურის გამოცემას სულ **30** საავტორო თაბახის მოცულობით.

ორიგინალური ხასიათის ნაშრომებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სპორტის დამსახურებული ოსტატის, ნოდარ გვახარიას წიგნი „ცისფერ მოედნებზე". აღნიშნული ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველში მოთხრობილია წყალბურთის ჩასახვის, წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ...

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. ბალაევიჩის 5 თაბახიანი ნაშრომი „თხილამურებით ბაკურიანში" (სახელწოდება პირობითია) დიდ დახმარებას გაუწევს ხათხილამურო სპორტით დაინტერესებულ მკითხველსა და ახალბედა სპორტსმენებს. წიგნი რედაქტირებულია და უკვე გადაეცა წარმოებას.

თარგმნილი ლიტერატურიდან ყურადღებას იპყრობს პ. სევეროვისა და ნ. ბალემსკის ამაღელვებელი მოთხრობა „უკანასკნელი ორთაბრძოლა" (მთარგმნელი ფ. მახარაძე). ეს პატრიოტული მოთხრობა მიძღვნილია კიეველი ფეხბურთელებისადმი, რომლებიც ჰიტლერელმა ჯალათებმა დახვრიტეს **1943** წლის **24** თებერვალს. ფაშისტმა ოკუპანტებმა ვერ აპატიეს საბჭოთა ფეხბურთელებს გერმანელთა „ლიუფტვაფეზე" გამარჯვება და სასტიკად გაუსწორდნენ მათ. ამ ტრაგიკულ მატჩში ჩვენმა სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს მაღალი საბჭოთა პატრიოტიზმი და გამარჯვებისაკენ დაუძლეველი სწრაფვა.

მიმდინარე წლიდან რედაქცია აპირებს სერიული ხასიათის ბროშურების (თვითეული 2 საავტორო თაბახის მოცულობით) გამოცემას ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სპორტსმენებსა და სპორტის ვეტერანებზე. წელს გამოვა ასეთი სახის 5 მონოგრაფიული ნაშრომი ბორის პაიჭაძეზე, ნინო დუმბაძეზე, გივი კარტოზიაზე, ვახტანგ ბალავაძესა და ოთარ ქორქიაზე.

ასეთია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" **1961** წლის სპორტული ლიტერატურის გამოცემის გეგმა.

**ბ. დარსაძე,**

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დარგობრივი ლიტერატურის რედაქტორი.

## წარსულის სურათები

★

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. დარისპანაშვილმა, რომელიც სპორტის და განსაკუთრებით ჭიდაობის დიდი მოტრფიალეა, დაწერა წიგნი „წარსულის სურათები", რომელშიც მოცემულია თბილისის ერთ-ერთი უბნის — ავლაბრის ადამიანების ცხოვრება, მათი გარდაქმნის პროცესი. წიგნში ოსტატურად არის ჩართული ქართული ჭიდაობის ეპიზოდები. ვბეჭდავთ ერთ-ერთ მათგანს.

★

შავნაბადის ეკლესიის წინ ჯერ ცეკვა-თამაში გაიმართა. ფირუზას ცეკვის შემდეგ, გასათხოვარ ქალებს სალაპარაკო გაუჩნდათ და ერთი მეორეს ყურში უჩურჩულებდნენ... ერთი ხორბლისფერი გოგონა ფირუზას ცეკვამ ისე გაიტაცა, რომ რკალი გაარღვია და ყველაზე წინ გაჩერდა. მისი ასეთი გამოცოცხლება თელეთელ ფალავანს, ტუხას როდი მოეწონა. აენთო, როცა შეამჩნია, რომ შუქურას მაყვლისფერი თვალები რაღაც არაჩვეულებრივი შუქით ბრწყინავდა. შუქურას ბევრჯერ შეუმჩნევია, რომ ტუხას არ მოსწონდა, როცა იგი მასზე უკეთეს ბიჭს თვალს გაუსწორებდა. მართალია, შუქურა ვალდებული არ იყო ტუხასთვის ანგარიში გაეწია, მაგრამ იცოდა ტუხას უხეში ხასიათი, მოერიდა უსიამოვნებას და უკან დაიხია.

როცა ცეკვა მინელდა და ქალვაჟთა წყვილები გამოილია, ბიჭებმა საჭიდაოდ დიდი წრე მოხაზეს და შუაში ორი ჩოხა დააგდეს. დაიწყო ფალავნებს შორის მოლაპარაკება, თუ ვინ ვისთან იჭიდავებდა ან რომელს ჰქონდა ჭიდაობის სურვილი. შუქურას მაინცდამაინც არ უყვარდა ჭიდაობა და არც არასოდეს დასწრებია თავისი სოფლის ბიჭების შერკინებას, მაგრამ ფირუზას ეშხმა იგი შებოჭა, ფეხები შეუბორკა...

თელეთელი ტუხა საცეკვაო წრეს არ გაეკარა, მაგრამ როგორც კი შეამჩნია, რომ წრე შეიკრა საჭიდაოდ, შუაში გაჩნდა, ხელი დაღლარასავით აღმართა და უხეშად ყველა გამოიწვია.

ტუხას სითამამემ ბევრი ვაჟკაცი ბიჭი შეაშინა. ყველამ შეამჩნია მისი თავხედობა, ამიტომ ერთ ხანს ვერ ბედავდნენ წრეში გადასვლას. შემდეგ რამდენიმე წყვილმა იჭიდავა, მაგრამ ტუხას ფალავანი მაინც ვერ შეურჩიეს. ერთი ორჯერ ავლაბრელმა ბიჭებმა თხოვეს ფირუზას ეჭიდავა, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა.

ტუხამ გაიგო თუ არა ფირუზა შემირჩიესო, იმის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მაგრამ როცა გაიგო, რომ ფირუზა მტკიცე უარზე იყო, მაშინ თავის ამხანაგების დახმარებით შეუთვალა — „მშიშარა ყოფილხარ, ძალა და ჭკუა მხოლოდ ფეხის ფჩხილებში გქონიაო". ასეთი დაცინვა ველარ მოითმინეს ფირუზას მეგობრებმა და მკაცრად მიმართეს ამხანაგს, შეარცხვინეს იგი. ფირუზა ერთ ხანს კიდევ იდგა თავჩაღუნული, არ უნდოდა ამხანაგებისათვის თვალებში შეეხედა. შემდეგ ხელი ჩაიქნია, ერთი ავლაბრისაკენ გაიხედა და წრეში გავიდა, მოპირდაპირეს გაუღიმა და ხმადაბლა უთხრა: — ტუხა, დედისათვის მიცემულ ფიცს ვტეხავ და გეჭიდავები. ვიჭიდავოთ ძმურად. წავიქცევით თუ გავიმარჯვებთ შემდეგში უკეთესი ნაცნობები ვიყოთ.

ფირუზას სიტყვამ ხალხში დიდი მოწონება დაიმსახურა. ტუხას მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია და ზლაზვნით გაუწოდა ხელი.

სოფლის მოხალისე მეზურნეებმა საჭიდაო დაუკრეს და წრე უფრო გაფართოვდა. ტუხა და ფირუზა წრეში საჭიდაო ჩოხებით გამოვიდნენ, ორივეს ვინაობა გამოაცხადეს და ორ მოჭიდავეს შორის სწრაფი და ლამაზი შერკინება დაიწყო.

პირველი ილეთი ტუხამ გააკეთა, მას უნდოდა ფირუზა კისრულზე გადაეტანა, მაგრამ ტანხმელმა, ძარღვმაგარმა ფირუზამ შუაში ფეხი დაუდო და ისე ოსტატურად მიიზიდა თავისკენ, რომ ცოტაღა დარჩა და ტუხა თავისი ხერხით არ წაიქცა. ამან ტუხა მეტად გააბრაზა და შორიდან მარჯვენა ფეხი ფირუზას ორივე ფეხში ისე მაგრად გამოკრა, რომ ფირუზამ ძლივს იხსნა სახიფათო მდგომარეობიდან თავი. ტუხას ქომაგნი წელში გასწორდნენ და სიამაყით გადახედეს ხალხს.

ამის შემდეგ ჭიდაობა კიდევ მეტად დაიძაბა... და ფირუზა პირქვე აღმოჩნდა მიწაზე. იგი ელვის სისწრაფით წამოხტა, ჯიქურ ეცა მოწინააღმდეგეს, მოგვერდით წამოიღო, ჰაერში ამოატრიალა და ცხვირით დაუშვა მიწაზე. ახლა ტუხა წამოხტა და გაექანა მეტოქისაკენ. ფირუზამ ისარგებლა ტუხას მოუფიქრებელი ნახტომით, დრო შეურჩია და ისევ წამოიკიდა კისრულით და ახლა ტუხა ცხვირით კი არა ბეჭებით დაეცა მიწაზე.

...ტუხა წრიდან შეუმჩნევლად გაიპარა.

# ლიდერობენ თბილისელი ფრენბურთელები

თბილისის ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გრძელდება მოზარდთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება ფრენბურთში.

მოუმზადებელი აღმოჩნდნენ კიშინიოვისა და კიევის გოგონათა გუნდები, რომლებსაც დღეისათვის არც ერთი მოგება არა აქვთ. წარმატებით განაგრძობენ ბრძოლას ერევნისა და თბილისის გოგონათა გუნდები. მათ ყველა შეხვედრა მოგებული აქვთ და ლიდერობენ შეჯიბრებას.

კრასნოდარის გუნდთან გამარჯვების შემდეგ თბილისელმა მოსწავლე გოგონებმა, რომელთა შორის გამოირჩევა გუნდის კაპიტანი ბ. ზურაბაშვილი, დამარცხება აგემეს კიშინიოვისა და კიევის გუნდებს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მათთვის ჯერ კიდევ შორსაა, ვინაიდან სათამაშოა მატჩები ორ ძლიერ მეტოქესთან — ერევნისა და ბაქოს გუნდებთან.

უკეთეს პირობებშია ერევნელ გოგონათა გუნდი, რომელსაც დარჩენილი ჰყავს მხოლოდ თბილისის კოლექტივი.

აღნიშვნის ღირსია ბაქოსა და ერევნის გუნდების შეხვედრა. სადაც მოწინააღმდეგეებმა ჩააქსოვეს მთელი თავიანთი ოსტატობა და ენერგია. პირველი პარტია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ერევნელთა მცირე უპირატესობით დამთავრდა.

მეორე პარტია გუნდების კაპიტანთა თავისებურ დუელად გადაიქცა. ისინი ბურთების ძლიერი მოწოდებით ქულას ქულაზე აგროვებდნენ, მაგრამ ბაქოელთა გუნდის კაპიტნის დ. ალიქფეროვას მოწოდებათა უვნებელყოფა ძნელი გამოდგა და ერევნელებმა წააგეს პარტია — 11:15. აღსანიშნავია, რომ ამ სეტში ანგარიში 11-ჯერ იყო საყაიმო. მესამე პარტია ერევნელთათვის ხელსაყრელად წარიმართა. ანგარიშმა სწრაფად მიაღწია 10:3-ს მათს სასარგებლოდ, მაგრამ ბაქოელებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და ანგარიში გაათანაბრეს — 13:13. ერევნელებმა შეძლეს გადამწყვეტი ქულების მოპოვება და გაიმარჯვეს კიდეც.

ჭაბუკი ფრენბურთელებიდან დღეისათვის ერთპიროვნული ლიდერია თბილისის გუნდი, რომელმაც თანმიმდევრულად და ერთნაირი ანგარიშით — 2:0 დაამარცხა როსტოველი, კიშინიოველი და ბაქოელი მეტოქეები.

პირველობის პრეტენდენტთა შორის არიან აგრეთვე კიევის, ერევნისა და ბაქოს გუნდები, რომლებსაც დღეისათვის თითო დამარცხება და 2-2 გამარჯვება აქვთ.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ დღეს შეჯიბრება გაგრძელდება.





* * *

**ეს სურათები ასახავენ არდადეგების პერიოდში მოსწავლე სპორტსმენთა ზონალური შეჯიბრების მომენტებს. ზევით ფრენბურთელი გოგონების თამაში. ქვევით ქუთაისელი ჩოგბურთელი გ. ჩიჩელაშვილი შეჯიბრების დროს.**

# წინა ფინალური ტურნირი

ყოველწლიურად, მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში, ეწყობა მოზარდთა გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. წელს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობს 25 ქალაქის კოლექტივი, მათ შორის 4 საქართველოდან. ზონალური ტურნირები გაიმართა ლენინგრადში, რიგაში, ტაშკენტში, ჩრდილო-დონეცკში, სოჭსა და თბილისში. დასკვნითი ტურის მოწყობა განზრახულია მოსკოვში 27–30 მარტს.

შეჯიბრება ზონებში მიმდინარეობს წრიული სისტემით. თბილისის ზონაში მონაწილეობდნენ როსტოვის, ბაქოს, თბილისისა და ქუთაისის გუნდები.

შეჯიბრების პირველ დღეს ნორჩი ჩოგბურთელები შეიკრიბნენ მძლეოსნურ სექტორებთან, სადაც უნდა ჩაებარებინათ საკონტროლო ნორმატივები მრავალჭიდში საერთო ფიზიკურ მომზადებაზე. ყოველ მათგანს მონაწილეობა უნდა მიეღო მრავალჭიდის 6 სახეობაში და შეესრულებინა ნორმატივი სულ ცოტა ხუთში.

რა გვიჩვენა ამ ღონისძიებამ? პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ჩოგბურთელთა კოლექტივმა, რომელმაც მოაგროვა 1896 ქულა. მან მეორე ადგილზე გამოსული ქუთაისის კოლექტივი 326 ქულით ჩამოიტოვა უკან. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ როსტოვისა და ბაქოს გუნდებს.

მართალია, ჩვენმა ჩოგბურთელებმა დაიკავეს პირველი ადგილი, მაგრამ შეჯიბრებამ ზოგიერთი არასახარბიელო შედეგი გვიჩვენა. ასე მაგალითად, გუნდის ერთ-ერთმა წევრმა დააგროვა 274 ქულა, ხოლო მეორემ მხოლოდ — 134. ან ერთ-ერთმა გოგონამ დააგროვა 172 ქულა, ხოლო მისმა მეორე თანაგუნდელმა მხოლოდ 34. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ გუნდის წევრთა საერთო ფიზიკური მომზადების დონე არ არის თანაბარი და მწვრთნელებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ აღმოფხვრან ჩამორჩენა სპორტსმენთა საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

შეჯიბრება კორტებზე აღინიშნა თბილისელთა აშკარა უპირატესობით. მასპინძლები. როგორც წესი, შეხვედრებს იგებდნენ იოლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, თბილისელმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს როსტოველები ანგარიშით 14:1, ქუთაისის გუნდი ანგარიშით 15:0, და ბაქოსი — 14:0. თბილისის გუნდმა მოიპოვა ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ჩოგბურთი დინამიური და ათლეტური ბრძოლაა, რომელიც მოითხოვს მოედანზე სწრაფ გადაადგილებას, აკრობატულ ნახტომებს, ძლიერ დარტყმებს და სხვ., რაც მიუღწეველია სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე. წარსულისაგან განსხვავებით საერთო ფიზიკური ვარჯიშები მტკიცედ შევიდა ჩოგბურთელთა წვრთნის მეთოდიკაში, სწორედ ამიტომაა მისასალმებელი შეჯიბრების წინ ასეთ ღონისძიებათა მოწყობა, მაგრამ უწინ ძირითადი ყურადღება ექცეოდა სპორტსმენთა უბრალო მონაწილეობას შეჯიბრებებში საერთო ფიზიკურ ვარჯიშებზე, მწვრთნელებს არ აწუხებდათ ის, თუ როგორ გამოვიდა სპორტსმენი ამ შეჯიბრებაში, შეასრულა თუ არა მან საკონტროლო ნორმატივი.

საბჭოთა კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ ამ მიმართებით საჭირო ნაბიჯი გადადგა. დადგინდა, რომ ა. წ. 15 იანვრიდან ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ის სპორტსმენები, რომლებიც შეასრულებენ საკონტროლო ნორმატივებს მრავალჭიდში და წარმატებით გამოვლენ შეჯიბრებაში საერთო ფიზიკურ მომზადებაზე.

სწორედ ამას უნდა მიაქციონ ყურადღება ჩვენმა მწვრთნელებმა და თვით სპორტსმენებმაც, წინაა უაღრესად საპასუხისმგებლო შეჯიბრება — ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ზონებში გამარჯვებული კოლექტივები. იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმატებას, საკმარისი არ იქნება მხოლოდ ჩოგბურთის კარგი თამაში. ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენს მომავალ მეტოქეებს შეჯიბრების არც ერთ პუნქტში.

**ვ. კანდელაკი.**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# ოთხი ტრამპლინის ჯამში

კვირას, 8 იანვარს ავსტრია-გერმანიის ოთხი ტრამპლინის ტურნირის მონაწილეებმა უკანასკნელი შეჯიბრება გამართეს ავსტრიის ქალაქ ბიშოფსჰოფენის ტრამპლინზე. აქ უძლიერესი აღმოჩნდა ოლიმპიური ჩემპიონი ჰ. რეკნაგელი, რომელსაც პირველ ცდაზე 1,5 მეტრი დააკლდა 100 მეტრამდე (აჩვენა 98,5 მ), მეორე ცდაზე გადახტა 94 მეტრზე და მოაგროვა 229 ქულა, რაც 3,5 ქულით აღემატება მეორე ადგილზე გამოსული ავსტრიელი ო. ლეოდოლტერის ქულათა მაჩვენებელს. ლეოდოლტერის ორი ნახტომი უდრიდა 93,5 და 94 მეტრს. ტრამპლინის მესამე პრიზიორის სახელი მოიპოვა კ. კიარკინენმა (94 მ; 91 მ, 221 ქ.). ამ ტრამპლინზე საბჭოთა სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა ნ. შამოვს (95 მ; 91,5 მ 219 ქ.), ხოლო კ. წაქაძე მეათე ადგილით დაკმაყოფილდა. მან აჩვენა 87,5 და 84,5 მ, რის შემდეგაც მხოლოდ 207,5 ქულა მიიღო.

ამრიგად, დამთავრდა 4 ტრამპლინის ტურნე, მასში გამარჯვებული გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი ჰ. რეკნაგელი, რომელმაც 890 ქულა მოაგროვა და 8,3 ქულით გაასწრო ლეოდოლტერს. „ოთხჭიდში“ მესამე იყო მსოფლიო ჩემპიონის ი. კიარკინენის ძმა კ. კიარკინენი, რომელმაც 871 ქულა მოაგროვა.

უკანასკნელ ორ ტრამპლინზე განცდილი მარცხის მიუხედავად კობა წაქაძემ მაინც შეძლო 858 ქულის მოგროვება, რაც საკმარისი აღმოჩნდა საერთო მეთოხე ადგილისათვის, რითაც მან უკან ჩამოიტოვა არა მარტო ყველა თანაგუნდელი, არამედ შეჯიბრების სხვა 60-მდე უძლიერესი მხტომელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

# საპატიო ადგილზე

ტალინში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცურვაში მოზარდთა შორის. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, თბილისისა და სხვა ქალაქების გუნდები. ამ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები.

გოგონათა შორის განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ი. ამნიაშვილი, რომელიც პირველი იყო თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში და მეორე ადგილი გაინაღდა 100 მ ბატერფლაის სტილით ცურვაში. თბილისელმა გოგონებმა მეორე ადგილი დაიკავეს ესტაფეტაშიც 4×100 მ თავისუფალი სტილით.

უმცროსი ასაკის ბიჭებში ორი პირველი ადგილი მოიპოვეს 100 მ ზ. შილაკაძემ, რომელიც გამოდიოდა ზურგზე ცურვაში და ი. სმირნოვმა — ბრასის სტილით ცურვაში, საშუალო ასაკში ყველაზე უკეთესი დრო აჩვენა ნ. ნონიაშვილმა 100 მ ბრასით ცურვაში და კიდევ ერთი პირველი ადგილი მოუტანა თავის გუნდს.

# ჭაბუკთა შორის

ამას წინათ დამთავრდა თბილისის პირველობა ჭადრაკში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრება ტარდებოდა შვეიცარული სისტემით. მასში მონაწილეობდა 44 მოსწავლე მოჭადრაკე. რვა შესაძლებლიდან 6.5 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა ზარგარიანმა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ოთხი ნორჩი მოჭადრაკე: ვ. პაპიაშვილი, ჩხენკელი, ტერნოვიტსკი და ძუგაევი, რომლებმაც გაიყვეს II-V ადგილები. ხუთივე ჭაბუკმა მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მოსწავლე-მოჭადრაკეთა ფინალურ პირველობაში.

**ა. გოგისვანიძე**

★

**ამას წინათ ქუთაისში რამდენიმე ერთდროული თამაშის სეანსი და საუბარი ჩაატარა სპორტის ოსტატმა მოჭადრაკემ ბ. გურგენიძემ.**

* * *

**სურათზე: ერთდროული სეანსის ერთ-ერთი მომენტი 20 დაფაზე.**

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

★



# „ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაცია

ცნობილი ფრანგული სპორტული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ანალიზს უკეთებს ევროპული ფეხბურთის განვითარების ეტაპებს და ახდენს მის კლასიფიკაციას.

პირველ ადგილზე ევროპაში ჟურნალს საბჭოთა კავშირი გამოჰყავს, რომლის ეროვნულმა ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, მოიპოვა ევროპის თასი და წააგო მხოლოდ ერთი მატჩი ავსტრიასთან.

საბჭოთა კავშირის შემდეგ ჟურნალის აზრით მოდის იუგოსლავია, რომელმაც სეზონში 16 მატჩი ჩაატარა. მათ შორის მოიგო 9 შეხვედრა, 4 ფრედ დაამთავრა და სამი (საბჭოთა კავშირთან, პორტუგალიასთან და ისრაელთან) წააგო. კლასიფიკაციაში მესამე ადგილი შვეციის უკავია.

შემდეგ ჟურნალი ახდენს ევროპის ქვეყნების დაყოფას ფეხბურთის განვითარების დონის მიხედვით. პირველ ჯგუფს, რომელშიც შეყვანილი არიან პროგრესის გზაზე დამდგარი ქვეყნები ჟურნალი აკუთვნებს: საბჭოთა კავშირს, იუგოსლავიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ავსტრიას, შვეიცარიასა და ინგლისს. მეორე ჯგუფში მოხვდნენ ქვეყნები, სადაც ფეხბურთის განვითარება ერთ დონეზეა გაყინული. აქ არიან: ბულგარეთი, რუმინეთი, იტალია, პოლონეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ბელგია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისლანდია, ნორვეგია და ლიუქსემბურგი. მესამე ჯგუფში შეყვანილი არიან სახელმწიფოები, სადაც ფეხბურთი ჟურნალის აზრით რეგრესის გზას დაადგა. ამ კატეგორიაში გაერთიანდნენ: საფრანგეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და შოტლანდიის ეროვნული ნაკრები გუნდები.

# „სპარტაკის“ სპარტაკიადა

სულ რამდენიმე თვეა, რაც ჩოხატაურის რაიონში შეიქმნა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რაისაბჭო, რომელმაც უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. მოეწყო საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ტყვიით სროლა, ჭადრაკი და შაში.

სპარტაკიადის გუნდური შედეგების მიხედვით ფრენბურთში პირველი ადგილი დაიკავა რაიკავშირის გუნდმა, ჭადრაკში, შაშსა და ტყვიით სროლაში — კულტურის განყოფილების, კალათბურთში — ავტოსატრანსპორტო კანტორის, ხოლო მძლეოსნობაში — კავშირგაბმულობის გუნდმა.

საერთო პირველი ადგილი წილად ხვდა ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდს, მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ კულტურის განყოფილებისა და კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების გუნდები.

**გ. ახალაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ცირკის სარბიელზე გამოდის ერთ დროს ცნობილი ძალოსანი, რამდენიმე მსოფლიო რეკორდის მფლობელი გ. ნოვაკი. იგი თავისი ძალის დემონსტრირებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებლებზე.

ფოტო მ. ზარგარიანის

# მზადება მსოფლიო პირველობისათვის

უნგრეთის ფეხბურთს დიდი მიღწევებიც ახსოვს და დიდი ჩავარდნებიც. ყოველ შემთხვევაში, თუ ავსტრიელები თავს იქებენ თავიანთი ომამდელი „ვუნდერტიმით“ (საოცარი გუნდით), ომის შემდეგ ასეთი „ვუნდერტიმი“ მხოლოდ უნგრელებს ჰყავდათ. ამ გუნდის მარცხი 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში სენსაციათა რიცხვს მიეკუთვნება, ხოლო უნგრელთა მარცხს VI ჩემპიონატში უკვე კანონზომიერი ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან „დიდი გუნდის“ ნარჩენებმა ვერაფერი გააწყეს ტექნიკურად და ტაქტიკურად უკეთ მომზადებულ მეტოქეებთან. დღეს უნგრეთის ფეხბურთი კვლავ აღმავლობის გზას დაადგა, თუმცა სიძნელეები ბოლომდე არაა დაძლეული.

### დადებითი ბალანსი, მაგრამ...

1960 წლის სეზონი უნგრეთის ნაკრებმა დადებითი ბალანსით დაამთავრა. 6 მატჩიდან მოიგო 3 (ინგლისელებთან — 2:0, პოლონელებთან — 4:1, ავსტრიასთან— 2:0), 2 დაამთავრა ფრედ (შოტლანდიასთან — 3:3, იუგოსლავიასთან—1:1) და წააგო ერთი (ბულგარეთთან—1:2). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გუნდმა ხუთი თამაში თავის მოედანზე ჩაატარა, ბუდაპეშტში კი უნგრელები იშვიათად თუ მარცხდებიან. ამასთან ინგლისის ნაკრები დამარცხებულია მაშინ, როცა მისი შემადგენლობა არ იყო დადგენილი. უნგრელებმა სრულფასოვან გამარჯვებას მიაღწიეს ავსტრიელებთან, რომლებმაც 1960 წლის სეზონში რამდენიმე შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს და კვლავ დაუბრუნდნენ „ფეხბურთის სახელმწიფოთა“ რიგებს.

### ლ. ბაროტი მაინც უკმაყოფილოა

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლ. ბაროტი სეზონის დასაწყისიდან ამზადებდა ორ გუნდს. პირველ ნაკრებში წარმოებდა პერსპექტიულ მოთამაშეთა „მოსინჯვა“, ხოლო ოლიმპიური ნაკრები ემზადებოდა რომისათვის. ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ უნდა მომხდარიყო ამ ორი ნაკრების შერწყმა. ოლიმპიურმა გუნდმა მწვრთნელს იმედები გაუცრუა, თუმცა სპეციალისტებს ეჭვი არ ეპარებოდათ უნგრელთა გამარჯვებაში. განსაკუთრებით სამწუხარო იყო ის, რომ მისი შემადგენლობა არ ვამოდგებოდა პირველი ეროვნული ნაკრების შესაცვლელად. ვეტერანები დროთა განმავლობაში სულ უფრო უარესად თამაშობდნენ, მაგრამ მაინც ჯობდნენ ახალგაზრდებს. ამ მხრივ საინტერესო თავგადასავალი გადახდა ნაკრების ცენტრფორვარდს, 19 წლის ფ. ალბერტს. სულ რაღაც ორიოდ წელიწადში მან მოიპოვა ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრფორვარდის სახელი. საუკეთესო გუნდებისათვის ნამდვილი პრობლემა გახდა ალბერტის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ფ. ალბერტმა დაჰკარგა ფორმა, ზედიზედ მიიღო ორიანები კალენდარული მატჩების შეფასებისას და უაღრესად სუსტად ითამაშა რომში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ლ. ბაროტიმ ზედიზედ ორჯერ შეცვალა ალბერტი პირველ ეროვნულ ნაკრებში.

### ვინ შეცვალა „ვუნდერტიმი?“

ერთადერთი მოთამაშე, რომელიც უნგრეთის ახალმა ნაკრებმა მემკვიდრეობით მიიღო „ვუნდერტიმისაგან“, არის მეკარე დ. გროშიჩი. ხანდაზმულობის მიუხედავად (გროშიჩი 35 წლისაა) იგი კვლავ უძლიერესია უნგრეთში და მონაწილეობას მიიღებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. როცა 1960 წელს პოლონურმა ჟურნალმა „სპორტოვიეცმა“ სპეციალისტებს გაუგზავნა ანკეტა: „ვინაა უძლიერესი მეკარე ევროპაში“ — უმრავლესობამ გროშიჩი დაასახელა.

ბაროტის დაცვის დიდი იმედი აქვს. აქ თამაშობენ 29 წლის შ. მატრაი, 29 წლის ფ. შიპოში და 28 წლის ლ. შაროში. სპეციალისტებს შიპოში დიდ მოვლენად მიაჩნიათ თანამედროვე ფეხბურთში. საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებენ სათადარიგო მცველები: 20 წლის შოვარი და 21 წლის ნოვაკი.

გამოურკვეველი მდგომარეობაა ნახევარდაცვაში, სადაც იმედები ვერ გაამართლეს ვეტერანებმა ბუნჯაკმა, ბერენდიმ და კოტასმა. დიდ იმედებს იძლევა მხოლოდ 20 წლის შოიმოში. იგი საუცხოოდაა მომზადებული ფიზიკურად და ტექნიკურად, თამაშობს დიდი თავდადებით. ჯერჯერობით გამოურკვეველია, თუ ვინ იქნება შოიმოშის პარტნიორი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში.

მარჯვენა გარემარბია 31 წლის კ. შანდორი, რომელსაც „უნგრელთა იერეშების მესაჭეს“ უწოდებენ. შანდორი საუკეთესო ფორმაშია და ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება თავის პოსტზე. ასეთი ასაკის მიუხედავად, შანდორმა შეინარჩუნა დიდი სისწრაფე. მას დახვეწილი ტექნიკა და ძლიერი დარტყმა აქვს, არ კმაყოფილდება მხოლოდ ფრთაზე თამაშით, შედის ცენტრში და აურზაურს იწვევს მეტოქეთა მცველებში. დღეისათვის შანდორი ყველაზე უფრო სახიფათოა უნგრელ თავდამსხმელთა შორის. მისი ახლოესი პარტნიორი 22 წლის ი. გერეში გამოირჩევა დიდი მუყაითობით და მაღალი ტექნიკით. იგი არ ერიდება „შავ სამუშაოს“, გადამწყვეტ მომენტში კართან კარგად გადის და ერთ-ერთ „სნაიპერად“ ითვლება.

პოლონელ ჟურნალისტ ზრუბეკის მტკიცებით ბაროტიმ „ხელი აიღო“ ალბერტზე, რომელსაც აღარ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ამ პოსტზე პრეტენზიას აცხადებენ 19 წლის კუტეში და გამოცდილი მახოში. უნგრელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ალბერტის წარუმატებლობა დროებითია და იგი კვლავ ძველებური ძალით ითამაშებს. მარცხენა შუამარბის პოსტზე კონკურენციის გარეშეა ცნობილი „ბომბარდირი“, 26 წლის ლ. ტიხი, ხოლო მარცხენა გარემარბია —29 წლის მ. ფენვეში, რომლის ფორმა უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესდა. ფენვეშის მეტოქეა 21 წლ ს მ. პალი, ხოლო ტიხის დუბლიორად ითვლება 23 წლის დ. რაკოში.

### ბრძოლა ქვეჯგუფში

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში უნგრელთა მეტოქეები იქნებიან ჰოლანდიელები და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები. ორივე გუნდი საკმაოდ ძლიერია და უნგრელებს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს. ჰოლანდიის ნაკრებს უ... გრელები კარგა ხანია აღარ შ... ვედრიან, ხოლო გერმანელ... 1959 წელს ძლივს მოუგეს ლ... ცაგში (1:0). მეტოქეებს შო... უძლიერესად უნგრელი მიმ... ხილველები ჰოლანდიელებს მ... ნევენ.

მსოფლიო ჩემპიონატს უნგრე... ბი ოპტიმისტურად ხვდებიან. რა... ვირველია, ჯერჯერობით შეუძ... ბელია წინასწარმეტყველება, ... როგორი შანსები აქვთ მათ ჩე... ონატის დასკვნით ნაწილში, ... რამ არცერთ მიმომხილველს დ... ისათვის ეჭვი არ ეპარება, ... „ვუნდერტიმის“ მემკვიდრეები ... რმატებით დაამთავრებენ შესარ... თამაშებს და ჩილში გაემგზავ... ბიან.

**გ. გამრეკელი**

რედაქტორი ი. უზულავა...

# 12—13 იანვარ...

ფიზკულტურის ინსტიტ... საამქტო დარბაზში შედგება ... მეცნიერო მეთოდური საბ...

# პლენუმი

განხილული იქნება შემდ... საკითხები:

1. სპორტული წვრთნის ... გიერთი საერთო დებულ... (ვ. სამსონაძე).
2. საქართველოს მძლეოს... თა ნაკრები გუნდის ხალ... III სპარტაკიადისათვის მ... ზადების პერსპექტიული გე... (ლ. გიორგაძე).
3. მძლეოსანთა წვრთნის ... ზიოლოგიური საფუძვლები ... თავართქილაძე).
4. რბენა მთაგორიან ად... ლებზე ჩოგბურთელის ძა... განვითარებისათვის.
5. საქართველოს ძალოსა... ნაკრები გუნდის ხალხთა ... სპარტაკიადისათვის მომზა... ბის პერსპექტიული გეგმა ... ჩიკვაიძე).
6. დატვირთვის ხასიათის ... სახეობ ძალოსნის წვრთნ... (გ. ჩიკვაიძე).
7. მოზარდებთან ძალოს... ბაში წვრთნის შესახებ ... ბუაძე).

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“,
ტელეფონები: რედაქტორის—3-89 62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34. გამომშვებისა — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05...